

# სიმბოლური ფასებისა და სუროგატული ტურიზმის ქვეყანა

„ვის რაში სჭირდება საქართველოში მეორე ლას-ვეგასი და ბარსელონა?“

გაზეთი “ყველა სიახლე” – 12-18 მაისი, № 18, 2011.

ჩვენს ქვეყანაში ე.წ. სიმბოლური ფასების ბუმი: სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად იგეგმება ქუთაისის აეროპორტის გასხვისება, არც თუ ისე დიდი ხნის წინ ასევე სიმბოლურ ფასად გასცეს კურორტი საირმე და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. რამდენად სასიკეთოა ეს პროცესი ჩვენი ქვეყნისათვის? – ამ საკითხის განხილვით დავიწყეთ ინტერვიუ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ლადო პაპავასთან:

– საერთოდ, ერთ ლარად ამა თუ იმ ობიექტის გასხვისება ბენდუქიძის იდეოლოგიის საწინააღმდეგო მოვლენაა. როგორც კი ჩამოვიდა საქართველოში, ბენდუქიძემ მაშინვე თქვა, რომ ყველაფერი აუქციონზე უნდა გაიყიდოს. სწორედ ბენდუქიძე იყო ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე სიმბოლურ ფასად პრივატიზაციისა. სხვათა შორის, ეს ძალიან გავრცელებული ფორმა იყო აღმოსავლეთ გერმანიაში: როდესაც გერმანია გაერთიანდა და დემოკრატიული რესპუბლიკა ფედერაციულს შეუერთდა, მაშინ იქ ძალიან პოპულარული იყო საკუთრების გაყიდვა ერთ გერმანულ მარკად. გერმანელები ზრუნავდნენ არა იმაზე, რომ ესა თუ ის საწარმო ძვირად გაყიდულიყო, არამედ იმაზე, რომ პრივატიზებულ საწარმოში ტექნიკური გადაიარაღება დაეწყოთ, მათი მთავარი მიზანი იყო გაჩენილიყო ახალი მესაკუთრე, რომელიც ახალ ტექნოლოგიებს შეიტანდა წარმოებაში. უნდა ვთქვა, რომ გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში ამ ტიპის პრივატიზაცია საკმაოდ წარმატებულად ჩატარდა. რაც შეეხება საქართველოს, აქაც, ერთლარიანი პრივატიზაციის გამო არანაირი პრობლემა არ შეიქმნებოდა, ეს პროცესი გამჭვირვალე რომ იყოს. წესით, უნდა ჩატარდეს ღია კონკურსი და ობიექტი გადაეცეს იმას, ვინც უკეთეს პროექტს წარმოადგენს და უკეთეს გეგმას შეიმუშავებს ამ ობიექტის განვითარებისათვის. თუკი ამგვარი პრინციპით შეირჩევა ქუთაისის აეროპორტის ახალი მესაკუთრე, ეს სწორი

გადაწყვეტილება იქნება, მაგრამ თუ ის შეირჩევა პირდაპირი მიყიდვის წესით, ეს შეიძლება დანაშაულიც იყოს.

ჩვენთან კონკურსის საფუძველზე კი არ ხდება მფლობელის შერჩევა, არამედ პირდაპირი მიყიდვის წესით. ეს არის მცდარი გზა პრივატიზაციისა, უფრო მეტიც, ეს არის კორუფციული გარიგება. წესით, ობიექტი, მიწა თუ საწარმო არ უნდა მოცდეს, ხოლო თუ მფლობელი აღებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებს, მას ეს ობიექტი უნდა ჩამოერთვას.

**– ქალბატონ ნინო ბურჯანაძისათვის წყნეთის აგარაკის გადაცემა ერთ ლარად ასევე კორუფციული გარიგება იყო?**

– როცა ნინო ბურჯანაძეს ერთ ლარად მისცეს წყნეთის აგარაკი, ეს მართლაც კორუფციული მექანიზმი იყო – ქალბატონ ნინოს ეს აგარაკი იმიტომ მისცეს, რომ ის ჩუმად ყოფილიყო. როგორც კი გადაწყვიტა, რომ აღარ გაჩუმებულიყო, აგარაკი მაშინვე წაართვეს. მე ვფიქრობ, რომ თუ ქალბატონი ნინოს ნებისმიერ შემთხვევაში ეს აგარაკი არ უნდა აეღო, განსაკუთრებით კი თუ პოლიტიკაში აქტიურად ჩართვას აპირებდა. თუმცა, ძალიან ბევრი ობიექტი გაუსხვისებიათ სიმბოლურ ფასად და ეს ამბავი არ გახმაურებულა. ყოფილ სახელმწიფო მოხელეებს ეს ქონება მხოლოდ ერთი პირობით გადაეცათ – ისინი ჩუმად უნდა იყვნენ. ახლა ეს ხალხი გაჩუმებულია, მაგრამ საკმარისია ხმა ამოიღონ იმ წამსვე დაკარგავენ ამ ქონებას. ეს არის ლეგალური კორუფცია, ერთგვარი მახე, რომლითაც ხელისუფლებამ მათი დუმილი იყიდა.

**– ბატონო ლადო, აჭარის მთავრობის ლიდერმა ლევან ვარშალომიძემ განაცხადა, რომ აჭარა მეორე ლას-ვეგასად უნდა აქციონ და რომ ზაფხულში იქ 2 მილიონამდე ტურისტს ელოდებიან. რამდენად რეალურია ეს ციფრები და გეგმები?**

– აქამდე ვიცოდი, რომ ბათუმი მეორე ბარსელონა უნდა ყოფილიყო, ახლა კი რა გამოდის – საქართველოში უნდა გექონდეს ლას-ვეგასი, რომლის დედაქალაქიც იქნება ბარსელონა? ეს ჩემთვის ცოტა გაუგებარია. მე ძალიან გამახარებს აჭარის და ბათუმის განვითარება, მაგრამ მეორე ბარსელონა და მეორე ლას-ვეგასი საქართველოში ვის რაში სჭირდება? ბათუმი უნდა იყოს ბათუმი და აჭარა უნდა იყოს აჭარა – ერთადერთი და განუმეორებელი მხარე საქართველოში, თავისი უძველესი ისტორიით, უნიკალური ხალხითა და ბუნებით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხელისუფლება ხუმრობს, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა: მათ უკვე დაიწყეს წინასაარჩევნო კამპანია და აშკარაა, რატომაც აკეთებენ მსგავს განცხადებებს.

– ბოლო ხანებში საინფორმაციო საშუალებებით ასეთი უცნაური ტერმინი გავრცელდა – სუროგატული ტურიზმი. თურმე საქართველოში ჩამოდიან უშიშრო წყვილები უცხოეთიდან, პოულობენ ხელმოკლე ქალებს, რომლებსაც სუროგატი დედებად ირჩევენ და სანაცვლოდ მათ 10 ათას დოლარს უხდიან.

– ასეთი რამ ხდება მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც დიდი გაჭირვებაა. თუ ოჯახს არ უჭირს, რომელიმე მეუღლე დათანხმდება, რომ მისმა ცოლმა 9 თვის განმავლობაში მუცლით სხვისი შვილი ატაროს, ან თვითონ ის ქალი რატომ იტყვის უარს დედობაზე? ასეთ დროს ნებისმიერი ქალი იძულებულია წავიდეს თავისი ბუნებისა და ფსიქიკის წინააღმდეგ. როდესაც ადამიანს არსებობის წყარო არა აქვს, ის იძულებულია უკიდურეს საშუალებებს მიმართოს და თავი როგორმე გაიტანოს. ალბათ დამეთანხმებით, რომ 10 ათასი დოლარი საქართველოში ბევრი ოჯახისათვის დიდი შემოსავალია. ამიტომ, არც არის გასაკვირი, რომ ასეთი რამ ხდება.

– თუმცა ამბობენ, რომ სუროგატული ტურიზმის განვითარებას აქ არსებული ლიბერალური გარემო უწყობს ხელს.

– მერწმუნეთ, ლიბერალური გარემო აქ არაფერ შუაშია. უცხოელებს თავისი ინტერესები აქვთ: იციან, რომ ევროპასა და ამერიკაში სუროგატი დედები ბევრად უფრო მეტ თანხას ითხოვენ. უცხოელი იმიტომ ჩამოდის, რომ იცის, საქართველოში სუროგატ დედას 10 ათასი დოლარიც ეყოფა, ევროპასა და ამერიკაში კი მისი მომსახურება შეიძლება ათჯერ უფრო მეტი დაუჯდეს. ტურიზმის ნაირსახეობად ამ მოვლენის გამოცხადება კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა მუდმივად ღარიბი უნდა დარჩეს.

**ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე**